



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას უმაღლესი  
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ინფორმაციული სისტემების მართვა - DevOps

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 14/07/2020

დასკვნის წარდგენის თარიღი: 20/08/2020

თბილისი  
2020

### ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს. ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	405155638
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

### ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინფორმაციული სისტემების მართვა - DevOps
განათლების საფეხური	უმაღლესი განათლების II საფეხური (მაგისტრატურა)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ინფორმაციული სისტემების მაგისტრი 0613
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

### ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანი არაბული. სტუ, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ რუხაია, თსუ, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ზურაბ ბოსიკაშვილი. სტუ, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლერი შარაშენიძე. სტუ, საქართველო

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამაგისტრო პროგრამა - „ინფორმაციული სისტემების მართვა - DevOps“ ახალია და განკუთვნილია ისეთი სპეციალისტების მოსამზადებლად, რომლებიც ქმნიან და მართავენ IT სტრუქტურას და ახორციელებენ ბიზნესპროცესების ავტომატიზაციას.

პროგრამის ენა ქართულია. სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე, ინგლისურ ენაში და სპეციალობაში გამოცდის წარმატებით გავლის შემთხვევაში. პროგრამა შედგება 12 ძირითადი და 9 არჩევითი კურსისაგან. სამაგისტრო პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - **ინფორმაციული სისტემების მაგისტრი (0613)**.

### ▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 14 ივლისს (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 08.05.2020 წლის N00366357 ბრძანება აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში ვიზიტის შესახებ). ჯგუფის მოსამზადებელი შეხვედრა მოხდა 2020 წლის 4 და 13 ივლისს, რა დროსაც მოხდა ჯგუფის წევრებს შორის პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეჯერება.

2020 წლის 14 ივლისს ვიზიტი წარიმართა წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით. გაიმართა შეხვედრები: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; თვითშეფასების ჯგუფთან; უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; პროგრამის ხელმძღვანელებთან; აკადემიურ პერსონალთან; მოწვეულ ლექტორებთან; IT მიმართულების საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებთან; ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებთან; დამსაქმებლებთან.

ვიზიტის დროს მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება: ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, ლაბორატორიები.

ვიზიტის დასასრულს დაწესებულების წარმომადგენლებს წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.

სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

### ▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

საგანმანათლებლო პროგრამა შეფასების მესამე და მეხუთე სტანდარტის მიხედვით შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტის მიხედვით მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

## ▪ რეკომენდაციები

- პროგრამის მიზნების მიღწევის უზრუნველყოფისათვის პროგრამის შინაარსის გაძლიერება კვლევითი კომპონენტებით და თეორიული საკითხებით.
- ტესტი სპეციალობაში გაძლიერდეს და LINUX და Python საკითხები მოეთხოვოს სიღრმისეულად. ასევე დაემატოს სერვისებისა და ღრუბლოვანი გამოთვლების საფუძვლების საკითხებიც.
- სასწავლო კურსებში ჩაემატოს თემატიკები თეორიული მოდელების და მოდელების შედარებების და შეფასებების შესახებ.
- სამაგისტრო ნაშრომის 30 კრედიტით გაზრდა და შესაბამისად საკონტაქტო საათების გაზრდა
- სასწავლო კურსი „პრაქტიკა“ გადატანილ იქნას მესამე სემესტრში. გადაერქვას/დაზუსტდეს სახელი და გახდეს ან ყველასთვის სავალდებულო, ან ყველასთვის არჩევითი.
- დაემატოს სავალდებულო თეორიული საგნები მოდელების აგების შესახებ, მაგ. „ოპერაციათა კვლევა“
  - სასწავლო კურსების შინაარსი გაძლიერდეს თეორიული და კვლევითი საკითხებით სწავლების საფეხურის შესაბამისად.
  - სასწავლო კურსში “ღრუბლოვანი სისტემების ორკესტრაცია (AWS)” დაემატოს სხვა ღრუბლოვანი სისტემების ანალიზიც.
  - კურსი “ვერსიონირება და უწყვეტი ინტეგრაცია” მიეთითოს ლიტერატურის გამოშვების თარიღები
  - კურს “არარელაციურ მონაცემთა ბაზების სისტემები (MongoDb)” დაემატოს წინაპირობა „javascript-ის ფრეიმვორკებთან მუშაობის“ ცოდნა
  - სასწავლო კურსი “კვლევის მეთოდების” საკითხები ორიენტირებული იყოს თუ როგორ ჩატარდეს კვლევა
  - სასწავლო კურსში “მონიტორინგის სისტემები” დაემატოს მონიტორინგის სისტემების ანალიზი და შედარება და ასევე მიეთითოს ლიტერატურას გამოშვების წლები
  - სასწავლო კურსებში ტერმინი „ავტომატური სისტემები“ ჩანაცვლდეს „ავტომატიზებული სისტემებით“
  - სასწავლო კურსში “პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტების მართვა“ სრულად გაიშალოს ტერმინი - „პროდუქტის სტრატეგია“
  - სილაბუსებში დასაბუთდეს დამოუკიდებელი მუშაობის საათების შესაბამისობა მის რაოდენობასთან, მაგ. დაემატოს დავალებები, საკურსო პროექტები და სხვა.
  - უდს-მ უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მოთხოვნებიდან გამომდინარე პროგრამაში გააძლიეროს თეორიული და კვლევითი მიმართულება, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების სამეცნიერო/კვლევითი უნარების განვითარებას და მათ ჩართვას კვლევით პროექტებში.
  - მოწვეული პერსონალის შერჩევისას გათვალისწინებული იქნას მათი სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობა.
  - უდს-მ უზრუნველყოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მხარდაჭერა სამეცნიერო აქტივობის მიმართულებით. ხელი შეუწყოს დარგობრივი პერსონალის განვითარებას კონფერენციებსა და კვლევით პროექტებში მონაწილეობის მისაღებად საჭირო რესურსების უზრუნველყოფით.

- ბიუჯეტში დაემატოს კვლევითი კომპონენტის დაფინანსება და აკადემიური პერსონალისა და მაგისტრანტების შრომების წახალისება/მივლინების ხარჯები

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

IT მიმართულებით კონფერენციების უზრუნველყოფა და ელექტრონული/ბეჭდური სამეცნიერო ჟურნალის დაარსება.

პროფესიული გამოცდილების მქონე პერსონალის მოწვევისას სასურველია მოხდეს საჩვენებელი ლექციის ჩატარება

კოლეგიალური შეფასების დანერგვა

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

<b>1.1 პროგრამის მიზნები</b>
<p>პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სამაგისტრო პროგრამის - „ინფორმაციული სისტემების მართვა - DevOps“ მიზანი ეფუძნება შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მისიას. პროგრამის მიზანია - “მომზადდეს საინფორმაციო ტექნოლოგიების, პროგრამული ინჟინერიის, ავტომატიზაციის სისტემების, ოპერაციული სისტემების სიღრმისეული ცოდნის და აქტუალური უნარების მქონე საქართველოს და უცხოეთის განათლების და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროფესიონალი, რომელიც იქნება პროფესიულ განვითარებაზე და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებაზე მიმართული და შეძლებს თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ხელსაწყოების თავისუფლად გამოყენებას, მაღალტექნოლოგიური მიღწევების გათვალისწინებისა და სწორი დაგეგმვის შედეგად სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდას და ცვლილებების მოთხოვნებზე სწრაფ რეაგირებას, კომპანიის IT-ის სტრუქტურის შექმნას და მართვას, მომხმარებელთა მხარდაჭერას და ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების ამაღლებას, არსებული საინფორმაციო ტექნოლოგიების ტრანსფორმაციას, სხვადასხვა პროცესების პროცესების დაგეგმვას, მართვასა და შეფასებას და ინოვაციური ტექნოლოგიური პროექტების ინიცირებას და დანერგვას”.</p> <p>უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე ძირითადი აქცენტი კეთდება პრაქტიკული უნარის მქონე სპეციალისტების მომზადებაზე. ამიტომ კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა შრომის ბაზარზე ეჭვქვეშ დგება.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>● უნივერსიტეტის მისია;</li> <li>● საგანმანათლებლო პროგრამა;</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>● პროგრამის მიზნების მიღწევის უზრუნველყოფისათვის პროგრამის შინაარსის გაძლიერება კვლევითი კომპონენტებით და თეორიული საკითხებით.</li> </ul>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p>

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**1.2 პროგრამის სწავლის შედეგები**

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შედგენილია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეორე საფეხურის აღმწერის მიხედვით. აღწერილი შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს. აღნიშნულ პროგრამას გააჩნია 9 სწავლის შედეგი.

სწავლის შედეგები დეტალურადაა აღწერილია სილაბუსებში. სწავლის შედეგები შეესაბამება დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოხონებს. ისინი გაზომვადია და აღწერენ ცოდნას და უნარებს, რომლებსაც იძენენ სტუდენტები პროგრამის დასრულებამდე. სწავლის შედეგების შემუშავებაში ჩართულია აკადემიური და მოწვეული პერსონალი.

უნივერსიტეტში არსებობს სწავლის შედეგების შეფასების განსაზღვრული მექანიზმი. სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდები. პროგრამას გააჩნია სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის.

პროგრამა ახალია, ამიტომ სტუდენტებთან ვერ მოხერხდა გასაუბრება იმის თაობაზე, რამდენად იღებენ ისინი უკუკავშირს, თუ რამდენად მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- o საგანმანათლებლო პროგრამა;
- o სილაბუსები;
- o პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p><b>შეფასება</b></p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		

### 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

#### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები



<p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალეა, საჯარო და ხელმისაწვდომი. სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად - არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. დამატებითი მოთხოვნა - ინგლისური ენის ფლობა B2 დონეზე. შიდა გამოცდები ტარდება სპეციალობაში და ინგლისურ ენაში.</p> <p>პროგრამაზე სწავლა რეკომენდებულია ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე იმ პირთათვის, რომელთა კვალიფიკაცია მიეკუთვნება ინფორმაციული ტექნოლოგიების, ინფორმატიკის, ინფორმაციული სისტემების, კომპიუტერულ მეცნიერებებების სფეროს.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ უნივერსიტეტის მიერ გამოგზავნილ მასალებში წარმოდგენილი იყო სპეციალობაში შიდა გამოცდების საკითხების ნიმუში. სასურველია, რომ LINUX და Python მიმართულებით უფრო რთული ტესტები იქნას გამოყენებული, რადგან სწავლების პირველივე სემესტრში ხდება სასწავლო კურსების: „LINUX - გადრეკილი კურსის“ და „ღრუბლოვანი სისტემების ავტომატიზაცია Python-ის საშუალებით“ შეთავაზება. ასევე დაემატოს სერვისებისა და ღრუბლოვანი გამოთვლების საფუძვლების საკითხებიც.</li> </ul>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ საგანმანათლებლო პროგრამა</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ ტესტი სპეციალობაში გაძლიერდეს და LINUX და Python საკითხები მოეთხოვოს სიღრმისეულად. ასევე დაემატოს სერვისებისა და ღრუბლოვანი გამოთვლების საფუძვლების საკითხებიც.</li> </ul>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p>

## შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების მიხედვით, აკადემიური პერსონალის, პოტენციური დამსაქმებლების, ხარისხის უზრუნველყოფისა და ადმინისტრაციული ერთეულების ჩართულობით. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.

პროგრამა შედგება 120 კრედიტისგან, (1 ECTS-ის კრედიტი = 25 სთ).

პროგრამის სავალდებულო საგნები შეადგენს - 90 ECTS და იგი მოიცავს სავალდებულო საგნებს (60 ECTS), პრაქტიკას (12 ECTS), სამაგისტრო ნაშრომს (18 ECTS). პროგრამის არჩევითი საგნები 30 ECTS. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამის შემუშავებაში ჩართულია აკადემიური და მოწვეული პერსონალი, დამსაქმებლები, ადმინისტრაციული პერსონალი. პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია უდს-ს ვებ გვერდზე.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ:

- უმრავლესობა ძირითადი კურსებისა ძალიან პრაქტიკულია და არ მოიცავს თეორიულ მოდელებს და მოდელების შედარებებს და შეფასებებს.
- პროგრამა ეხება დეველოპმენტის და ოპერაციების ავტომატიზაციას და პროგრამაში არ არის შეტანილი კურსები შესაბამისი თეორიული მოდელების აგების შესახებ. მაგ. "ოპერაციათა კვლევა" ან სხვა.
- პროგრამაში კვლევის კომპონენტი ძალიან მწირია, მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომია და ისიც 18 კრედიტის მოცულობით.
- სამაგისტრო ნაშრომის პარალელურად ხოციელდება სასწავლო კურსი „პრაქტიკა“ (12 კრედიტის მოცულობით). სილაბუსიდან გამომდინარე ეს არის პროექტი, რომელსაც სტუდენტები აკეთებენ და შემდეგ ახდენენ მის პრეზენტაციას. აღნიშნული სასწავლო კურსი სავალდებულოა იმ სტუდენტებისთვის თუ პრაქტიკის გავლის მომენტისთვის არ არის დასაქმებული ან არის დასაქმებული, მაგრამ მისი სამსახურებრივი მოვალეობები და შესრულებული სამუშაო არ

<p>შეესაბამება პროგრამის სწავლების სფეროს, პრაქტიკის მიზნებს და/ან არ უზრუნველყოფს პრაქტიკის კომპონენტით დაგეგმილი შედეგების მიღწევას. სასურველია აღნიშნული სასწავლო კურსი გადატანილ იქნას მესამე სემესტრში. გადაერქვას/დაზუსტდეს სახელი და გახდეს ან ყველასთვის სავალდებულო, ან ყველასთვის არჩევითი.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ საგანმანათლებლო პროგრამა</li> <li>○ სილაბუსები</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სასწავლო კურსებში ჩაემატოს თემატიკები თეორიული მოდელების , მოდელების შედარებების და შეფასებების შესახებ.</li> <li>• სამაგისტრო ნაშრომის 30 კრედიტით გაზრდა და შესაბამისად საკონტაქტო საათების გაზრდა</li> <li>• სასწავლო კურსი „პრაქტიკა“ სასურველია გადატანილ იქნას მესამე სემესტრში. გადაერქვას/დაზუსტდეს სახელი და გახდეს ან ყველასთვის სავალდებულო, ან ყველასთვის არჩევითი.</li> <li>• დაემატოს სავალდებულო თეორიული საგნები მოდელების აგების შესახებ, მაგ. „ოპერაციათა კვლევა“</li> </ul>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <li><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

### 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში შემავალი დარგობრივი სასწავლო კურსები (ძირითადი და არჩევითი ერთად), მათში აღწერილი სწავლის შედეგები ერთობლიობაში ნაწილობრივ უზრუნველყოფს პროგრამაში გაცხადებული სწავლის შედეგების მიღწევას, რადგან პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსების უმეტესობა პრაქტიკული ხასიათისაა.

სასწავლო მასალა თანამედროვეა და შესაბამისია საგნების შინაარსთან და შედეგებთან.

სასწავლო კურსების მიმართ არის შემდეგი შენიშვნები:

- ყველა სასწავლო კურსი არის 6 კრედიტიანი (150 საათი). ასევე ყველა სასწავლო კურსის საკონტაქტო საათების რაოდენობა განისაზღვრება 30-34 საათით. სილაბუსებიდან არ ჩანს დამოუკიდებელი საათების რაოდენობის შესაბამისობა.
- სასწავლო კურსი “ღრუბლოვანი სისტემების ორკესტრაცია (AWS)” იხილავს მხოლოდ და მხოლოდ (AWS)-ს და არსად არ სჩანს სხვა ღრუბლოვანი სისტემებთან შედარება თუ რა უპირატესობები აქვს მას
- კურსი “ვერსიონირება და უწყვეტი ინტეგრაცია “ ლიტერატურის გამოშვების თარიღები არა არის მითითებული
- კურს “არარელაციურ მონაცემთა ბაზების სისტემები (MongoDb) ”-ში ორ კვირაში გათვალისწინებულია javascript-ის ფრეიმვორკებით (*Node.js, ExpressJS, AngularJS*) ვებ აპლიკაციების შექმნა, რაც მიუღწევადია, რადგანაც წინოპირობაში არ მოითხოვება javascript-ის ფრეიმვორკებთან მუშაობის ცოდნა
- “პრაქტიკის” და “სამაგისტრო ნაშრომის” კურსების სილაბუსები დუბლირებულია.
- სასწავლო კურსი “კვლევის მეთოდები” უმეტესად ასახავს როგორ გაფორმდეს სამაგისტრო ნაშრომი ან სამეცნიერო სტატია და არა როგორ ჩატარდეს კვლევა
- სასწავლო კურსში “მონიტორინგის სისტემები “-ლიტერატურის გამოშვების წლები არ არის მითითებული და არ არის მონიტორინგის სისტემების ანალიზი და შედარება
- სასწავლო კურსებში გვხვდება ტერმინი ავტომატური სისტემები - უნდა იყოს ავტომატიზებული სისტემები
- სასწავლო კურს “პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტების მართვა“ გვხვდება შემოკლებული ტერმინი - პროდუქტის სტრატეგია. სასურველია სრულად გაიშალოს ეს ტერმინი.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სილაბუსები;

რეკომენდაციები:

- სასწავლო კურსების შინაარსი გაძლიერდეს თეორიული და კვლევითი საკითხებით სწავლების საფეხურის შესაბამისად.
- სასწავლო კურსში “ღრუბლოვანი სისტემების ორკესტრაცია (AWS)” დაემატოს სხვა ღრუბლოვანი სისტემების მოკლე ანალიზი და (AWS)-ის შედარება

- კურსი “ვერსიონირება და უწყვეტი ინტეგრაცია“ მიეთითოს ლიტერატურის გამოშვების თარიღები
- კურს “არარელაციურ მონაცემთა ბაზების სისტემები (MongoDb)” დაემატოს წინაპირობა „javascript-ის ფრეიმვორკებთან მუშაობის“ ცოდნა.
- სასწავლო კურსი “კვლევის მეთოდების” საკითხები ორიენტირებული იყოს თუ როგორ ჩატარდეს კვლევა
- სასწავლო კურსში “მონიტორინგის სისტემები“ დაემატოს მონიტორინგის სისტემების ანალიზი და შედარება და ასევე მიეთითოს ლიტერატურას გამოშვების წლები
- სასწავლო კურსებში ტერმინი „ავტომატური სისტემები“ ჩანაცვლდეს „ავტომატიზებული სისტემებით“
- სასწავლო კურსში “პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტების მართვა“ სრულად გაიშალოს ტერმინი - „პროდუქტის სტრატეგია“
- სილაბუსებში დასაბუთდეს დამოუკიდებელი მუშაობის საათების შესაბამისობა მის რაოდენობასთან, მაგ. დაემატოს დავალებები, საკურსო პროექტები და სხვა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მრავლად ითვალისწინებს პრაქტიკული უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ სასწავლო

კურსებს - ნაწილი მოიცავს პრაქტიკულ სწავლებას. პროგრამის სავალდებულო კომპონენტის - სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში სტუდენტი ვალდებულია ჩაატაროს პრაქტიკული, კვლევითი და სხვა სახის სამუშაოები. როგორც ავლნიშნეთ, პროგრამა ძირითადად პრაქტიკული ხასიათისაა და იმისათვის რომ მოხდეს სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, სტუდენტების სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართვა და ამ უნარების განვითარება აუცილებლად მიგვაჩნია პროგრამაში გააძლიერდეს თეორიული და კვლევითი მიმართულება.

ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამა ახალია, ამიტომ მოხდა სამაგისტრო ნაშრომების შეფასება, სხვა სპეციალობის, კერძოდ კი ბიზნეს ადმინისტრირების კურსდამთავრებულების სამაგისტრო ნაშრომებით, საიდანაც გამოიკვეთა, რომ ნაშრომები ძირითადად არის მიმოხილვითი ხასიათის და მცირეა კვლევის და კრიტიკული აზროვნების წილი. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში და ასევე „სამაგისტრო ნაშრომის შექმნის სახელმძღვანელო“-ში ცხადად არის გაწერილი კვლევითი კომპონენტის აუცილებლობა და კომისიის მიერ ასევე ხდება მისი შეფასება.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- სილაბუსები
  - საგანმანათლებლო პროგრამა;

**რეკომენდაციები:**

უდს-მ უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მოთხოვნებიდან გამომდინარე პროგრამაში გააძლიეროს თეორიული და კვლევითი მიმართულება, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების სამეცნიერო/კვლევითი უნარების განვითარებას და მათ ჩართვას კვლევით პროექტებში.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

<input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
---

**2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები**

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამაში აღწერილ საგნებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები მრავალფეროვანია და შერჩეულია საგანთა სპეციფიკის გათვალისწინებით. სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო ამოცანის შესაბამისად, შესაბამისი აქტივობები: დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვ.; “სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- სილაბუსები;
  - საგანმანათლებლო პროგრამა;

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

<input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

<b>2.6. სტუდენტების შეფასება</b>
<p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p> <p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>სტუდენტის შეფასება გამჭვირვალეა და ხორციელდება არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. შეფასების კომპონენტები და მეთოდები შეესაბამება კურსსა და სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას.</p> <p>აღსანიშნავია, რომ პროგამა ახალია. აკრედიტაციის ჯგუფი შეხვდა საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებს. მათი გადმოცემით შეფასების მეთოდები წინასწარ ცნობილია სტუდენტებისათვის. სტუდენტები იღებენ გამოხმაურებას მათ შეფასებაზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, იღებენ ინფორმაციას თუ რა მოცულობისთვის აქვთ მიღწეული სწავლის შედეგები. ასევე დაწესებულია პროცედურები თუ სტუდენტებს სურთ მიღებული ნიშნების გასაჩივრება.</p> <p>სამაგისტრო ნაშრომების დაცვა ხდება უსდ-ში არსებული მაგისტრატურის დებულების მიხედვით. ნაშრომის დაცვა საჯაროა და ხორციელდება კომისიური წესით; სადისეტაციო ნაშრომის შეფასებაში უზრუნველყოფილია გარე შემფასებლის - რეცენზენტის მონაწილეობა;</p> <p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა</li> <li>○ პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სილაბუსები.</li> <li>○ შინაგანაწესი, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების დებულება, ფაკულტეტის დებულება</li> <li>○ მაგისტრატურის დებულება</li> </ul> <p><b>რეკომენდაციები</b></p> <p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p>



**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

**3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

**3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება**

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

o იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა ახალია და არ ჰყავს სტუდენტები, ინტერვიუებისას გამოიკითხა ზოგადი საუნივერსიტეტო მიდგომა. უნივერსიტეტში დანერგილია პროგრამა BTUClassroom, რომელიც

<p>წარმოადგენს სტუდენტისათვის როგორც სასწავლო, ისე ადმინისტრაციულ მოდულს. ამ სისტემის საშუალებით სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ საგნები, ნახონ ნიშნები, ეკონტაქტონ ლექტორებს, მიიღონ ინფორმაცია სიახლეების შესახებ, მოითხოვონ სხვადასხვა ტიპის დოკუმენტები და შექმნან თავიანთი პორტფოლიო, სტუდენტები აღნიშნული პროგრამის საშუალებით იღებენ ამომაწურავ ინფორმაციას სასწავლო პროცესის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების, დასაქმების შესახებ. დაწესებულების პერსონალი, მათ შორის პროგრამაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ სათანადო ინფორმაციის მიწოდებას სტუდენტისათვის უსდ-ში არსებული კონსულტაციების შესახებ;</p> <p>სტუდენტები ინფორმირებულები არიან სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო ღონისძიებების შესახებ აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ კონფერენციებში და ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით;</p> <p>აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები.</p>
